ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კულტურის, განათლების, ახალგაზრდობის საქმეთა და სპორტის კომისიის სხდომის

ოქმი N 24

23.04.2024
სხდომის ჩატარების ადგილი:
ქალაქ ქუთაისის ადგილობრივი
თვითმმართველობის შენობა.
რუსთაველის გამზირი N3

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კულტურის, განათლების, ახალგაზრდობის საქმეთა და სპორტის კომისიის სხდომა ჩატარდა თვითმმართველობის შენობაში არსებულ სხდომათა დარბაზში, სხდომას ხელმძღვანელობდა კომისიის თავმჯდომარე, ბატონი ბექა ქებულაძე.

ესწრებოდნენ კულტურის, განათლების, ახალგაზრდობის საქმეთა და სპორტის კომისიის წევრები:

თეა ჯუღელი, ჯემალ ბიბილეიშვილი, მარეხი ნიჟარაძე, მანანა ჩიხლაძე, მიხეილ გიორგაძე, ბესიკ ხამაშურიძე, ხათუნა არველაძე.

სულ 8 წევრი.

არ ესწრებოდა: კახა გაბუნია, ქეთევან ხურციძე, თედო მესხი, ანა კოხრეიძე, ნინო ჩიკვაშვილი.

სხდომა გახსნა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კულტურის, განათლების, ახალგაზრდობის საქმეთა და სპორტის კომისიის თავმჯდომარემ ბატონმა ბექა ქებულაძემ და წარმოადგინა სხდომის დღის წესრიგის შემდეგი პროექტი:

1. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის ა(ა)იპ ბაგა-ბაღების გაერთიანების 2024 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული პროგრამების, არსებული და მიმდინარე ინფრასტრუქტურული პროექტების განხილვის შესახებ.

ბატონი დავით წიტაიშვილი
ა(ა)იპ ბაგა-ბაღების გაერთიანების მმართველი

დღის წესრიგის პროექტთან დაკავშირებით მოსაზრებები არ გამოთქმულა.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კულტურის, განათლების, ახალგაზრდობის საქმეთა და სპორტის კომისიის თავმჯდომარემ, ბატონმა ბექა ქებულაძემ დღის წესრიგის პროექტთან დაკავშირებით გამოაცხადა ღია კენჭისყრის დაწყება.

ერთხმად დაადგინეს:

დამტკიცდეს კომისიის სხდომის დღის წესრიგი წარმოდგენილი რედაქციით.

მოისმინეს:

დღის წესრიგის პირველი საკითხი - ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის ა(ა)იპ ბაგა-ბაღების გაერთიანების 2024 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული პროგრამების, არსებული და მიმდინარე ინფრასტრუქტურული პროექტების განხილვის შესახებ.

ზემოაღნიშნული საკითხი წარმოადგინა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ ბაგა-ბაღების გაერთიანების მმართველმა , ბატონმა დავით წიტაიშვილმა.

დავით წიტაიშვილი: ,, მოგესალმებით, წარმოგიდგენთ ა(ა)იპ ბაგა-ბაღების გაერთიანების ანგარიშს, 2024 წლის ბიუჯეტით გათვალისწინჯებული პროგრამების შესრულების და შესასრულებელი სამუშაოების შესახებ.

- 2024 წლის იანვრის თვეში მეთოდური დარგის კოორდინატორის მიერ საინფორმაციო ხასიათის შეხვედრა შედგა მეთოდისტებთან. ინდივიდუალური კონსულტაცია გაეწია #1; 11; 12; 19; 20; 23; 32 და 35 ფილიალის მეთოდისტებსა და მმართველებს.
- 2024 წლის თებერვალში მოხდა #1 ფილიალის ჩართვა პროექტში, რომელსაც ახორციელებს ლაიფციგის უნივერსიტეტის ქართველი მაგისტრანტი ქეთი რობაქიძე, თემაზე: „ადრეული ბავშვების კვლევა“.
- #11 ფილიალის „მშობელთა კლუბის“ მშობელმა მაკა ცერცვაძემ საქართველოს მასშტაბით მონაწილეობა მიიღო სათემო პროექტში თემაზე: „თემში ცნობიერების ამღლება იმუნიზაციისა და ჯანდაცვის საკითხებზე“. აღნიშნულმა პროექტმა გაიმარჯვა, რაც ითვალისწინებს ღონისძიებების ჩატარებასა და რესურს ოთახის მოწყობას.
- 2024 წლის 1 იანვრიდან დღემდე განხორციელდა მონიტორინგი #1; 12; 20; 23 ფილიალებში.
- 2024 წლის 31 იანვარსა და 01 თებერვალს აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ბავშვთა უფლებების ცოდნის ცენტრში“ ჩატარდა ტრენინგი მშობლებისთვის თემაზე „ბავშვთა უფლებები“. მონაწილეობას იღებდა #37 ფილიალის მშობლები.
- 2024 წლის იანვრის თვეში „მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნულმა ვენტმრა“ ჩაატარა ტრენინგი და გადაამზადა 90 სპეც მასწავლებელი.
- 2024 წლის თებერვლის თვეში სან-ჰიგიენური ნორმების დაცვისა და კვების უვნებლობის კოორდინატორის მიერ მორიგი შეხვედრა ჩატარდა ექთნებთან და მნეებთან.
- 2024 წლის 29 თებერვალს ჩატარდა სისხლის დონაციის აქცია რომელშიც მონაწილეობა მიიღო შვიდმა თანამშრომელმა.
- 2024 წლის თებერვლის თვეში ბაგა-ბაღებში შეტანილ იქნა პირველადი სამედიცინო დახმარების მედიკამენტები.

- 2024 წლი 01 მარტს აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ბავშვთა უფლებების ცოდნის ცენტრში“ ჩატარდა 4-5 და 5-6 წლიანი ასაკობრივი ჯგუფების აღსაზღდელთა ხატვითი აქტივობა თემაზე „მე და დედა“.
- 2024 წლის მარტის თვეში ლოგოპედებთან მუშაობის კოორდინატორის მიერ შედგა სამუშაო შეხვედრა ლოგოპედებთან. წარმოადგინეს 6 (ექვსი) თვის ანგარიში გაწეული მუშაობის შესახებ და სამოქმედო გეგმა. მიეცათ შესაბამისი მითითებები და რეკომენდაციები.
- 2024 წლის 22 და 28 მარტს ონლაინ პლატფორმის მეშვეობით ჩატარდა ტრენინგ-მოდული ავტორიზაციის საკითხებთან დაკავშირებით თემაზე „ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების ავტორიზაციის სტანდარტი“.
- 2024 წლის ბოლომდე „ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის „ვ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2020 წლის 30 ივნისის #68/ნ ბრძანების თანახმად აღმზრდელ-პედაგოგთა პროფესიული განვითარების ტრენინგ-მოდულს გაივლის ბაგა- ბაღებში დასაქმებული ყველა აღმზრდელი.

საკითხთან დაკავშირებით დებატები არ გამართულა.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კულტურის, განათლების, ახალგაზრდობის საქმეთა და სპორტის კომისიის თავმჯდომარემ, ბატონმა ბექა ქებულაძემ დღის წესრიგის პირველ საკითხთან დაკავშირებით გამოაცხადა ღია კენჭისყრის დაწყება. რეგისტრაცია გაიარა კომისიის წევრებმა.

ღია კენჭისყრით , ერთხმად დაადგინეს:

მოწონებულ იქნეს დღის წესრიგით გათვალისწინებული პირველი საკითხი - ა(ა)იპ ,,ქალაქ ქუთაისის ბაგა-ბაღების გაერთიანების“ 2024 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული პროგრამების, არსებული და მიმდინარე ინფრასტრუქტურული პროექტების განხილვის შესახებ.“

ამით, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის კულტურის, განათლების, ახალგაზრდობის საქმეთა, სპორტის კომისიამ მუშაობა დაამთავრა.

საკრებულოს კულტურის, განათლების,

ახალგაზრდობის საქმეთა და სპორტის კომისიის

თავმჯდომარე ბექა ქებულაძე